ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.34/10/065 - 1

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში„შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის მამუკა ჩოქურის სახით და მეორეს მხრივ შპს „კომფორტი XXI" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ღონღაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-3 მუხლის II პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია - ქალაქ თბილისში მოსკოვის გამზირი №14-ში სამგორის რაიონის გამგეობის შენობის I და II სართულის რეკონსტრუქციის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით;

2.2. SPA კოდი 45400000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ტენდერით დაფიქსირებულ ხელშეკრულების ღირებულებასა 593224,0 ლარსა და ამ ხელშეკრულებით შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება 485374,25 ლარს შორის სხვაობას 107849.0 (ასშვიდიათასრვაასორმოცდაცხრა) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. ხარჯთაღრიცხვა(დანართი 1: კრებსითი, 2-1, 2-4, 2-5)თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. სამუშაოების მოცულობები არის სავარაუდო. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება მათი დაზუსტება-შემცირება ან გაზრდა, ერთეულის ფასისა და ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეუცვლელად.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული სამუშაოების(ხარჯთაღრიცხვის) შესრულების შემდეგ ხელმოწერილი ფორმა 2-ის, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა #2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: სპეციალურად ამ საქმიანობის ზედამხედველობისთვის შერჩეული ფირმა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომელ(ებ)ი.
6. ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. ტექნიკური დავალება

1. სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:
ა) სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;
ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;
გ) მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით, დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმები;
დ) მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შენობაში უკვე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, ფასადი და ფანჯრები ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან/დაზიანებისაგან სამუშაოების შესრულების პერიოდში და სრულად აგებს პასუხს მათი დაზიანების შემთხვევაში;
ე) შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს უშუალოდ სამშენებლო–სამონტაჟო, მოსაპირკეთებელი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მოხმარებული კომუნალური მომსახურების გადასახადებს (ელექტროენერგია, წყალი, გაზი);
ვ) ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იყო გათვალისწინებული და წინასწარ არ შეთანხმდება დამკვეთთან არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
მ) შემსყიდველს უფლება აქვს პროექტის ავტორთან შეთანხმებით, საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში, შეიტანოს ცვლილებები პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებში.
ნ) სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) დღე;

6.2 სამუშოების ჩატარებისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ყველა ნორმები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით. განხორციელებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს შემდეგი საგარანტიო ვადები:

ა) ინტერიერის/შენობის მოწყობის სამუშაოებზე (გარდა სანტექნიკური, ელექტრო–ტექნიკური და გათბობა–გაგრილების ნაწილებისა) – 2 წელი;

ბ) სანტექნიკური ნაწილი, ელექტრო–ტექნიკური ნაწილი, გათბობა–გაგრილების ნაწილი – 3 წელი, დაწყებული სამუშაოების გადმოცემიდან. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.2. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

7.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

7.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

7.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;

7.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

7.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 6.1 „ნ“ პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

7.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;

7.4.4. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები საჭიროების შემთხვევაში, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

7.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე

აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ან/და შეცვალოს გამოყენებული უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

7.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

7.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

7.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ 3 (სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელ სამუშაოს ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 4%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის

შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. საბოლოო ანგარიშსწორება

12.4. შემსყიდველის მიერ მყიდველისთვის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება, შემსყიდველის მიერ დაქირავებული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან) და მისი ღირებულება;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 6 ნოემბრიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამგორის რაიონის გამგეობა	შპს „კომფორტი XXI“
მის. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8.1	იურ. მის. ვაზისუბნის III მკრ, კ. 9 ბ-101
სს „ლიბერთი ბანკი“-ს	ფაქ. მის. გურამიშვილის ქუჩა №78
ცენტრალური ფილიალი	სს „ბაზის ბანკი“
ა/ა GE95LB 0125 1521 0162 7000	ცენტრალური ფილიალი
კოდი LBRTGE22	ა/ა GE58 BS 000000013336037
საიდენტ. კოდი 206351598	კოდი CBASGE22
	საიდენტ. კოდი 206 123 817
გამგებელი	**დირექტორი**
---------- მ.ჩოქური	---------- დ. ღონღაძე

2014 წლის 6 ნოემბრის №10.34/30/065 ხელშეკრულების დანართი №1

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №14-ში, სამგორის რაიონის
გამგეობის შენობის II სართ. რეკონსტრუქცია

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

საფუძველი: პროექტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 107849.00 ლარი

მათ შორის ხელფასი 32503.65 ათ. ლარი

№	ხარჯთაღრიცხვის ნომერი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ათასა ლარი				სულ ჯამი ათასი ლარი	მათ შორის ხელფასი
			სამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობილ. ინვენტარი	სხვა დანახარჯ.		
1	2	3	6	7	8	9	10.00	11.00
		მეორე სართული						
1	2-1	სამშენებლო სამუშაოები	75404.3				75404.3	26865.9
2	2-2	შიდა წყალსადენ - კანალიზაცია					0.0	0.0
3	2-4	ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები და სახანძრო სიგნალიზაცია		20818.4			20818.4	3711.2
4	2-5	გათბობა - ვენტილაცია		11626.4			11626.4	1926.6
		ჯამი	75404.3	32444.7			**107849.0**	**32503.7**

სამგორის რაიონის გამგებელი / შამუკა ჩოქური/

შპს „კომფორტი XXI"-ის დირექტორი /დავით ღონღაძე/

2014 წლის 6 ნოემბრის №10.34/30/065 შეთანხმების აქტის დანართი №1

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №14-ში, სამგორის რაიონის

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №2-5

გათბობა- ვენტილაცია

საფუძველი: პროექტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 11626.354 ლარი

მათ შორის ხელფასი 1926.590 ლარი

მეორე სართული

№	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდ.	ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ.	სულ	ერთ.	სულ	ერთ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	გათბობა-ვენტილაცია									
	გათბობა									
11	- 22 500X1500მარკის პანელური რადიატორი	ც	2	34	68.00	112.72	225.44			293.44
12	- 22 500X1200მარკის პანელური რადიატორი	ც	4	0	0.00	0	0			0.00
13	- 22 300X1500მარკის პანელური რადიატორი	ც	15	34	510.00	111.02	1665.3			2175.30
14	- 22 300X1200მარკის პანელური რადიატორი	ც	4	30.65	122.60	85.59	342.36			464.96
15	- 22 300X1000მარკის პანელური რადიატორი	ც	4	34	136.00	68.65	274.6			410.60
16	- 22 300X800მარკის პანელური რადიატორი	ც	2	34	68.00	68.64	137.28			205.28
17	რადიატორის პირდაპირი ვენტილი დ=20მმ	ც	31	4.42	137.02	9.8	303.8			440.82
18	რადიატორის უკუ ვენტილი დ=20მმ	ც	31	4.42	137.02	9.9	306.9			443.92
19	ქურო 1/2 X 20 დ=20მმ	ც	30	0	0.00	1.7	51			51.00
20	მინა-ბოჭკოვანი მილი დ=20მმ	გ.მ	35	0.77	26.95	1.75	61.25			88.20

21	მინა-ბოჭკოვანი მილი დ=25მმ	გ.მ	34	0.77	26.18	2.3	78.2			104.38
22	მინა-ბოჭკოვანი მილი დ=32მმ	გ.მ	64	0.85	54.40	3.6	230.4			284.80
23	მინა-ბოჭკოვანი მილი დ=40მმ	გ.მ	20	1.27	25.40	4.7	94			119.40
25	მინა-ბოჭკოვანი მილის მუხლი დ=20მმ	ც	44	0	0.00	0.35	15.4			15.40
26	მინა-ბოჭკოვანი მილის მუხლი დ=25მმ	ც	18	0	0.00	0.4	7.2			7.20
27	მინა-ბოჭკოვანი მილის მუხლი დ=32მმ	ც	10	0	0.00	0.45	4.5			4.50
28	მინა-ბოჭკოვანი მილის მუხლი დ=40მმ	ც	4	0	0.00	0.55	2.2			2.20
30	მინა-ბოჭკოვანი მილის სამკაპი 25/20	ც	15	0	0.00	0.4	6			6.00
31	მინა-ბოჭკოვანი მილის სამკაპი 32/20	ც	20	0	0.00	0.45	9			9.00
32	მინა-ბოჭკოვანი მილის სამკაპი 32/25	ც	4	0	0.00	0.5	2			2.00
33	მინა-ბოჭკოვანი მილის სამკაპი 40/20	ც	5	0	0.00	0.4	2			2.00
34	მინა-ბოჭკოვანი მილის სამკაპი 40/25	ც	6	0	0.00	0.45	2.7			2.70
36	ქურო დ=20მმ	ც	12	0	0.00	0.3	3.6			3.60
37	ქურო დ=25მმ	ც	16	0	0.00	0.4	6.4			6.40
38	ქურო დ=32მმ	ც	30	0	0.00	0.45	13.5			13.50
39	ქურო დ=40მმ	ც	10	0	0.00	0.5	5			5.00
41	გადამყვანი 25/20	ც	4	0	0.00	0.35	1.4			1.40
42	გადამყვანი 32/25	ც	8	0	0.00	0.4	3.2			3.20
43	გადამყვანი 40/32	ც	8	0	0.00	0.5	4			4.00
45	ტიხრის გახვრეტა ზომით 0.08 X 0.05მ	ადგ.	6	21.25	127.50	0	0			127.50
46	პაკლი	ც	4	0	0.00	12	48			48.00
47	გათბობის სისტემის ჰიდრავლიკური გამოცდა 6 - 8 ატმოსფერო	გ.მ	178	0.59	105.02	0.08	14.24			119.26
	ვენტილაცია									
4	საყოფაცხოვრებო კონდიციონერი - გარე ბლოკი 7000ბტუ =2.2კვტ	კომპ.	3	127.5	382.50	805	2415			2797.50
5	დასამაგრებელი საშუალებები	კგ	1	0	0.00	2.15	2.15			2.15
	ჯამი				1926.59		6338.02			8264.61
	სატრანსპორტო ხარჯები მასალაზე %		0%							0.00
	ჯამი									8264.61
	ზედნადები ხარჯები ხელფასიდან %		65%							1252.28

	ჯამი									9516.89
	გეგმიური მოგება (პირდაპირ დანახარჯებს + ზედნადები ხარჯები - მოწყობილობები) %		7%				4799.27			335.95
	ჯამი									9852.84
	გაუთვალისწინებელი ხარჯი %		0%							0.00
	ჯამი:									9852.84
	დ.ღ.გ. 18 %		18%							1773.51
	ჯამი დ.ღ.გ-ს ჩათვლით:									**11626.4**

სამგორის რაიონის გამგებელი / მამუკა ჩოქური/

შპს „კომფორტი-XXI“ /დავით ღონდაძე/

2014 წლის 6 ნოემბრის №10.34/30/065 შეთანხმების აქტის დანართი №1

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №14-ში, სამგორის რაიონის გამგეობის შენობის II სართ. რეკონსტრუქცია

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №2-1

სამშენებლო სამუშაოები

საფუძველი: პროექტი

შედგენილია 2013წ მიმდებარე დონეზე

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 75404.3 ლარი

მათ შორის ხელფასი 26865.9 ლარი

მეორე სართული

№	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდ.	ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ.	სულ	ერთ.	სულ	ერთ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	სარემონტო სამუშაოები									
1	არსებული ტიხრების დემონტაჟი - 184,3 $მ^2$	$მ^3$	21.04	26.5	557.56					557.56
2	კედლებში ღიობების ამოჭრა - 12,76 $მ^2$	$მ^3$	1.40	26.5	37.10					37.10
6	იატაკებზე ცემენტის მოჭიმვის მოხსნა	მ2	414.14	2.6	1076.76					1076.76
7	პარკეტის იატაკის დემონტაჟი	მ2	414.14	2.6	1076.76					1076.76
9	თაბაშირმუყაოს შეკიდული ჭერის დემონტაჟი	$მ^2$	185.03	4	740.12					740.12
10	არსებული კარების დემონტაჟი	$მ^2$	28	5	140.00					140.00
16	შიდა კედლების ჩამოფხეკა არსებული ბათქაშისგან	$მ^2$	54	2	108.00					108.00
17	კედლების ჩამოფხეკა ძველი საღებავისგან	$მ^2$	900	1	900.00					900.00
21	ღიობების ამოშენება და ტიხრების ამოყვანა მეორადი მასლით	$მ^2$	18.5	14	259.00					259.00
22	იატაკზე ცემენტის მოჭიმვა სისქ 50მმ	$მ^2$	414.14	5.5	2277.77	2.6	1076.764			3354.53
23	ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა	$მ^2$	414.14	6.8	2816.15	15.5	6419.17			9235.32
29	მდფ-ის კარის მოწყობა (მოწყობილობით)	$მ^2$	28.71	7	200.97	165	4737.15			4938.12
31	ჩვეულებრივი თაბაშირმუყაოს ფილებით შეკიდული ჭერის მოწყობა	$მ^2$	185.03	7	1295.21	14	2590.42			3885.63
32	არმსტონგის შეკიდული ჭერის მოწყობა	$მ^2$	229	6.5	1488.50	12.5	2862.5			4351.00
33	პლასტმასის შეკიდული ჭერის მოწყობა	$მ^2$	6	6.5	39.00	14.75	88.5			127.50
35	მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრების მოწყობა	$მ^2$	51.84	25	1296.00	135	6998.4			8294.40

38	კედლების; ფანჯრების და კარებების ღიობების პერიმეტრის შელესვა ცემენტის ხსნარით	m^2	204	5.5	1122.00	2.2	448.8			1570.80
41	კედლების დამუშავება ფითხლით	m^2	1640	1.2	1968.00	0.3	492			2460.00
42	კედლების შეღებვა წყალემულსიური საღებავით (2 ფენა)	m^2	1640	5	8200.00	0.9	1476			9676.00
43	ჭერის დამუშავება ფითხლით	m^2	185	1.2	222.00	0.3	55.5			277.50
44	ჭერების შეღებვა წყალემულსიური საღებავით	m^2	185	5	925.00	0.9	166.5			1091.50
45	ფანჯრების შემინვა ორმაგი მინაპაკეტით	m^2	12	10	120.00	35	420			540.00
	სხვადასხვა სამუშაოები				0.00					
2	სამშენებლო ნაგვის გატანა	რეისი	10	0	0.00	0	0	60	600	600.00
	ჯამი				26865.91		27831.704		600	55297.61
	სატრანსპორტო ხარჯები მასალაზე %		0%							0.00
	ჯამი									55297.61
	ზედნადები ხარჯები % (არაუმეტეს 8%)		8%							4423.81
	ჯამი									59721.42
	გეგმიური მოგება % (არაუმეტეს 8%)		7%							4180.50
	ჯამი									63901.92
	გაუთვალისწინებელი ხარჯი %		0%							0.00
	ჯამი:									63901.92
	დ.ღ.გ. 18 %		18%							11502.35
	ჯამი დ.ღ.გ-ს ჩათვლით:									75404.3

სამგორის რაიონის გამგებელი / მამუკა ჩოქური/

შპს „კომფორტი-XXI“ /დავით ღონღაძე/

2014 წლის 6 ნოემბრის №10.34/30/034 შეთანხმების აქტის დანართი №1

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №14-ში, სამგორის რაიონის
გამგეობის შენობის II სართ. რეკონსტრუქცია

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №2-4

ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები და სახანძრო სიგნალიზაცია

საფუძველი: პროექტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 20818.4 ლარი
მათ შორის ხელფასი 3711.2 ლარი

მეორე სართული

№	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდ.	ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ.	სულ	ერთ.	სულ	ერთ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	კაბელები									
1	სპილენძის კაბელი ორმაგი იზოლაციით -ჟ 3ხ1,5	გრძ.მ	700	0.55	385.00	1.25	875.00			1260.00
2	სპილენძის კაბელი ორმაგი იზოლაციით -ჟ 3ხ2,5	გრძ.მ	615	0.55	338.25	1.65	1,014.75			1353.00
5	სპილენძის კაბელი ორმაგი იზოლაციით -ჟ 5ხ6	გრძ.მ	30.00	1.18	35.40	5.7	171.00			206.40
6	დამხმარე სამონტაჟო მასალები	კომპ.	7.00	0	0.00	8	56.00			56.00
7	ზედაპირული მონტაჟის გამანაწილებელი კოლოფი 150ხ150	კომპ.	60.00	0.24	14.40	1.5	90.00			104.40
8	1 კლავიშიანი ჩამრთველი , 10	ც	15.00	5.51	82.65	3.9	58.50			141.15
9	2 კლავიშიანი ჩამრთველი , 10	ც	16.00	5.51	88.16	4.2	67.20			155.36
12	საშტეფსელო როზეტი დამიწების კონტაქტით, 2 + -16	ც	133.00	5.51	732.83	4.7	625.10			1357.93
13	სამონტაჟო კოლოფი	ც.	94.00	0	0.00	0.7	65.80			65.80
14	საკლემო ბლოკი უხრახნო მიერთებით, 6X1,5-2,5მმ კვეთზე (20)	ც.	67.00	0	0.00	0.25	16.75			16.75
	სანათები									
1	ლუმინისცენტური სანათი 600ხ600 4X18 ნათურით	ც	26.00	11.82	307.32	40.86	1,062.36			1369.68

2	ლუმინისცენტური სანათი 600ხ600 4ხ18 ნათურით გარე შესრულების	ც	35.00	11.82	413.70	42.37	1,482.95			1896.65
	სახანძრო სიგნალიზაცია									
1	სახანძრო სიგნალიზაციის კაბელი ჟ შთ - 2ხ1ხ0,8	გრძ.მ	660.00	0.47	310.20	0.8	528.00			838.20
2	სამისამართო ოპტიკურ ელექტრონული კვამლის დეტექტორი	კომპ.	16.00	19.7	315.20	71	1,136.00			1451.20
4	სახანძრო დეტექტორის უნივერსალური ბაზა ინტეგრირებული იზოლატორით	კომპ.	16.00	3.94	63.04	8	128.00			191.04
	სუსტი დენების საკაბელო არსები									
1	იატაკის როზეტების ყუთი ექვს მექანიზმზე	ც	25	25	625.00	135	3,375.00			4000.00
	ჯამი				3711.15		10752.41			14463.56
	სატრანსპორტო ხარჯები მასალაზე %		0%							0.00
	ჯამი									14463.56
	ზედნადები ხარჯები მონტაჟზე %		65%							2412.25
	ჯამი									16875.81
	გეგმიური მოგება (პირდაპირ დანახარჯებს + ზედნადები ხარჯები - მოწყობილობები) %		7%				10955.50			766.88
	ჯამი									17642.69
	გაუთვალისწინებელი ხარჯი %		0%							0.00
	ჯამი:									17642.69
	დ.ღ.გ. 18 %		18%							3175.68
	ჯამი დ.ღ.გ-ს ჩათვლით:									20818.4

სამგორის რაიონის გამგებელი / მამუკა ჩოქური/

შპს „კომფორტი-XXI“ /დავით ღონღაძე/